ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №03-05/11

ქალაქი ბათუმი 13 თებერვალი 2017 წელი

ერთი მხრივ სსიპ „ქალაქ ბათუმის №14 საჯარო სკოლა" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი **დირექტორის ნატო გოგუაძე** სახით და მეორე მხრივ (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი **შპს „ინტელექტ აუდიტი" დირექტორი ივანე გაჩეჩილაძის** სახით,„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პონქტის „ს" ქვეპუნქტის და„გამარტივებული შესყიდვის.გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას მოცემული9 ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. „დღე", „კვირა" , „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „მომსახურება" – ხეელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
1.7. „ფასების ცხრილი" – შემსყიდელსა და მომწოდეებელს შორის შეთანხმებული და მხარეთა მიერ დამოწმებული „ფასების ცხრილი" , რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანი **CPV – 79200000 –**მომსახურეობები.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარს, დღგ-ის ჩათვლით.
3.2. ერთეულის ღირებულება განისაზღვრება „ფასების ცხრილით"-თ (დანართი 1)
3.3.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მომსახურების გაწევის წესი, ვადა და ადგილი

4.1. მომსახურების გაწევა მომწოდებელმა უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 მარტამდე.
4.2. გაწეული მომსახურების შესახებ მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც უნდა შეიცავეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) ინფორმაცია მიღება-ჩაბარების აქტის შემდგენი მხარეების წარმომადგენლის შესახებ;
ბ) მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის თარიღი;
გ) მომსახურების გაწევის პერიოდი;
დ) გაწეული ომსახურების სახეობა;
ე) გაწეული ომსახურების ღირებულება;
4.3. თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, შემსყიდველით მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
4.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად (წერილობითი ან ზეპირი სახით) აცნობოს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.
4.5. მომსახურების გაწევის ადგილია ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №35

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
5.2. მომსახურების მირება-ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად ფაქტობრივი გაწეული მომსახურების

საფუძველზე.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლლებამოსილი წარმომადგენლებია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნარდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

6.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისის ანგარიშსწორების დოკუმენტის წარმოდგენიდან 15 დღის ვადაში.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ ანგარიშსწორების დოკუმენტზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი.

წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

6.4. ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურების გარკვეული ნაწილის აუთვისებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია დარჩენლ თანხაზე.

7.გარანტია

7.1 მიმწოდებელი აძლევა გაწეული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი სესაბამისობის გარანტიას.

7.2.მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზრვრული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზრვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს.

8.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს რესურსების მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

8.3.ხელშეკრულების შესრულების კონტროლინხორციელდება სისტემურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.

9.2იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირაგსამტეხლოს ჯამური თანხა გადააწარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიმოწდებლის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრუელბით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულების შეუსროლებლობის შესახებ.

11.ხელშეკრულებაში ცვლილებებისშეტეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრუელების შემსყიდველისთვის , გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკ

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისთის ვალდებულების შესრულების წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გასწიოს მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ)თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვია ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელინ მიზეზის გამო იგი ვერ უზრნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისგან.

12.3. ხელშეკრულების 12.1. მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება.

12.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 3 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 13.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განხრახვის თაობაზე.

12.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთ ნხმების საფუძველზე.

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველ ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მპლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთ ნ დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. შეთანხმების მიუღწებლობის შემთხვევაში,ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არააქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავის უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. ესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სხელით, ხარჯებითა და რისკით.

14.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კაანონმდებლობის მიხედვით.

14.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულებოის შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობრინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამთარიღებიდან რომელი უფროგვიან დგება.

14.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

14.5. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიულილ ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრუელება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ"ქ. ბათუმის № 14 საჯარო სკოლა"	შპს „ინტელექტ აუდიტი"
ს/ნ 245 428 997	ს/ნ 404 906 97
სს „ლიბერთი ბანკი "	სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი LBRTGE22	ბანკის კოდი TBCBGE22
ან.№ GE45LB0121137795843000	ანგ/№ GE17TB7630136080100002
ნანა ბოლქვაძე დირექტორი	ივანე გაჩეჩილაძე დირექტორი

ფორმა № 3

№	დასახელება	რაოდენობა	ზომის ერთეული	მომსახურების ღირებულება	მიწოდების ადგილი	მიწოდების თარიღი
1	სსიპ "ქალაქ ბათუმის # 14 საჯარო სკოლის" საიჯარო ქირის საბაზრო ფასის განსაზღვრა	1	ლარი	200	ქ. ბათუმი, ინასარაძის ქ. #11	14.02.2017 წელი
	ჯამი			**200**		

შპს „ინტელექტ აუდიტი“

დირექტორი: ივანე გაჩეჩილაძე

ა ქ ტ ი

გაწეული აუდიტორული მომსახურების მიღება–ჩაბარების შესახებ

ქ. ბათუმი

2017 წლის 14 თებერვალი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, აუდიტური კომპანია „ინტელექტ აუდიტის“ დირექტორი ივანე გაჩეჩილაძე და სსიპ „ქალაქ ბათუმის №14 საჯარო სკოლის“ დირექტორი ნატო გოგუაძე ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ აუდიტურმა კომპანია „ინტელექტ აუდიტმა“ შეასრულა 2017 წლის 13 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №03-05/11 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება – სსიპ „ქალაქ ბათუმის №14 საჯარო სკოლა“-ში არსებული ფართების საიჯარო ქირის განსაზღვრა.

„შემსრულებელმა“ ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა“ ჩაიბარა:

აუდიტორული დასკვნა ორ ეგზემპლარად.

მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება შესრულებულია და ექვემდებარება ანაზღაურებას.

„შემსყიდველი“

ნატო გოგუაძე

„შემსრულებელი“

ივანე გაჩეჩილაძე